ცნობის ფურცელი

№ 2499 ხუთშაბათი, 20 მაისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2499

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—4 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

17 მაისს ს. პერევისაში გარდაიცვალა

იულია ალექსის ასული ჭიჭინაძისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქმარი განსვენებულისა **კალისტრატე კონსტანტინეს ძე ჭიჭინაძე** და დედ-მამა **ალექსი ოქროპირის ძე** და **ვასასი მიხეილის ასული წერეთლები**. დაკრძალვის დღე დანიშნულია 21 მაისისათვის. (1—6.—1)

Feriencolonien. Colonie des vacances.

„პატარა-ცემი“-ს
საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის,

ედ ბაკურიანის რკინის გზაზე, ბორჯომის მახლობლად, მთა ადგილზე, ფიჭვნარში, 4,400 ფუტის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლ-ნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო, ყოველგვარი ვარჯიშობა, წყლით ექიმობა და სხვა.

არ მიიღებიან მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელისამე მიზეზისა გამო მთა ადგილს ყოფნა არ არგებს.

ხანა: ორი თვე, 15 თიბათვიდან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებითი ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ან წერილობით შეიძლება მიჰმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისი, ნიკოლოზის ქ. № 46. (0—10)

ამა წლის 30 მაისს „ბანკის ბაღში“ (თავად-აზნაურობის ქარვასლა)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გაიმართება

სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, გაიმართება საბავშო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა და **ცეკვა.**

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). თუ წვიმა იქნა, სეირნობა გაიმართება 5 ივნისს. (უ. 0—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალაჯრიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. ქალ მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მ., ონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე

საღამოთი:

ზ. მ. ხობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის საგანგებო კრება დანიშნულია კვირისათვის 23 მაისს, 1904 წ. დილის 9 საათზე, **საამხანაგო ქარხანაში** (მიხეილის ქუჩა, სახ. № 156). კრებაზე დასწრება შეეძლებათ მხოლოდ **ნამდვილს წევრებს** (სრულ პაის მქონელთ) და ამხანაგობის საქმეებში **პირად მონაწილეობის მიმღებთ.** განსახილველი საგნები:

1) გამგეობის მოხსენებანი ამხანაგობის საქმეების გაუმჯობესებისა გამო
2) ზოგიერთა წვრილმანი.

(1—1) გამგეობის თავმჯდომარე **მრ. თოიძე.**

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ **უმაღლესის** ნებართვით გამგეობაში გაიხსნა ხელის მოწერა შემოწირულებათა შესაგროვებლად, რათა შემოწირულის ფულით ტფილისში ძეგლი დაედგას ღვთივ განსვენებულს დიდ მთავრინას **ოლგა თეოდორის** ასულს. (ნ. 3—1)

ქ. სიღნაღში,

გაზეთ **„ცნობის ფურცლის“** ნომრები ყოველ დღე იყიდება **სერგო მიხეილის ძე ამირალოვის მაღაზიაში.**

მიწა

ვერაზე, ოლგინის ქუჩის ბოლოში **იყიდება ნაწილ-ნაწილად** კარგის პირობებით. მსურველთ დაწვრილებით ცნობები შეუძლიანთ გაიგონ: სასახლის ქუჩაზე მ. გ. გულასპოვთან და ოლგინის ქუჩაზე № 18 რ. დ. ფორაქოვთან. (10—4)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)
დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თგ.—0—87)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე. და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს. რიჟინაშვილი
იღებს დილით 9—2 საათ. საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. (30—253—32)

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—7)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—2 საათ, საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი
მიიღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 10—12 ს. მიხეილის პროსპექტი ს. № 115 ნემცების კირკის გვერდზე. (30—178—13)

ქუთაისში
კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი
(აბორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)
მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—13)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 მაისი

პეტერბურგი. მთავარი შტაბი აცხადებს: „16 და 17 მაისს ფინხუანჩენისკენ სიწყნარე იყო. 14 მაისს, საღამოს 10 საათსა და 30 წუთზე, იაპონიის ქვეითა ჯარი კუანდიანსიანიდან ყაზახების წინააღმდეგ გაილაშქრა. ყაზახებს პოზიცია ეჭირათ შაოგოსთან, ფინხუანჩენის ჩრდილოეთ-დასავლეთით, 15 ვერსის მანძილზე. იაპონელებმა ღამის სიბნელეში კანტი-კუნტი სროლა ასტეხეს. ბრძოლის დაწყებიდანვე ახლო-მახლო სიმაღლეებზე დაიწყო სიგნალიზაცია ელექტრონის ფარნებით. ყაზახებმა ჩამოუქვეითეს და დაიწიეს ჯერ ჩანლინის უღელტეხილისკენ (შაოგოს დასავლეთით, ორ ვერსის მანძილზე), ხოლო შემდეგ—აინიამინისკენ (ჩანლინის უღელტეხილის დასავლეთით, 16 ვერსის მანძილზე). იაპონელები შეჩერდნენ და ყაზახების დევნას თავი მიანებეს. 15 მაისს, დილით, აინიამინს მიუახლოვდნენ იაპონიის ჯარის მოწინავე რაზმები. დილის 9 საათზე იაპონელები გაიშალნენ და ასტეხეს სროლა ჯერ ერთბაში, მერე ნაწილ-ნაწილად; ესროდნენ ყაზახების ორ სოტნას, რომელთაც პოზიცია ეჭირათ აინიამინის წინ. შემდეგ ამ ადგილს ყაზახებმა თავი მიანებეს და გადავიდნენ სერზე, აინიამინის დასავლეთით. დილის 10 საათზე იაპონელებმა საომრად დარაზმეს ორი ბატალიონი, ხოლო მესამე ბატალიონი ზურგის ჯარს შეადგენდა. დილის 11 საათზე პოზიციაზე გავიდა ბატარეია და ასტეხა შრაპნელით სროლა. მდინარის ხეობის გავლის დროს ყაზახების ტყვიისაგან საკმაოდ დაზარალდა იაპონიის ქვეითა რაზმი, რომელიც მჭიდროდ მიდიოდა. იაპონელებმა დიანგოუს მხრიდან ყაზახთა მარჯვენა ფრთეს მოუარეს; ამის გამო ყაზახებმა 11 საათსა და 20 წუთზე სრულის წესით და რიგით საიმაძისკენ დაიწიეს. სროლა შესწყდა ნაშუადღევის ორ საათზე. რუსების მხრივ დაჭრილია ორი აფიცერი და 7 ყაზახი. 17 მაისს, დილით, იაპონელები, რომელთაც ყაზახები თვალ-ყურს ადევნებდნენ, საიმაძისკენ წავიდნენ. როდესაც ეს მოხსენება გამოიგზავნა, იაპონელები ჯერ მისულები არ იყვნენ საიმაძში. 16 მაისს ქალაქი სიუიანი იაპონელებს არ დაუჭერიათ. ზღვის სანაპიროზე, ინკოუსა, გაიჯოუსა და სენიუჩენში, სიწყნარეა. 17 მაისს, შუადღისას, სადგურ ვაფანგოუსთან ჩვენ ცხენოსნებს შეტაკება მოუხდათ იაპონელთა 8 როტასა და 8 ესკადრონთან. იაპონელებს ოთხი ტყვიის მტყორცნელი ჰქონდათ. ჯერ სროლა ასტყდა, შემდეგ ჩვენმა სოტნებმა, ცხენებზე დარაზმულებმა, მსწრაფლი იერიში მიიტანეს იაპონიის ესკადრონზე, რომელიც მარჯვენა ფრთეზე იდგა, და თითქმის სულ გაანადგურეს იგი. მერე ქვეითა ჯარს ეცნენ, მაგრამ მალე უკან დაბრუნდნენ, რადგან იაპონელებმა ტყვიის მტყორცნელების სროლა დაიწყეს. იაპონელები სცდილობდნენ, ჩვენის მარჯვენა ფრთესთვის მოევლოთ, მაგრამ ჩვენმა ბატარეიამ შეაჩერა და შესამჩნევი ზარალიც მიაყენა. ჩვენი ზარალი ჯერ არ არის სავსებით გამორკვეული. ჯერჯერობით ვიცით, რომ დაიჭრა კორნეტი ფონ მეიერი და 21 სალდათი და დაიღუპა 25 ცხენი“.

19 მაისი

ნიკოლაევსკ-პრიმორსკი. გამორკვეულია, რომ იაპონელებს დიდი ხნიდან აგიტაცია ჰქონდათ გამართული ადგილობრივ მცხოვრებ გილიაკებს შორის. ჰპირდებიან, ამ ქვეყანას რომ დავიპყრობთ, სხვა-და-სხვა უპირატესობას მოგცემთ და შემწეობას აღმოგიჩენთო, მაგრამ გილიაკებმა არა მარტო თვითონ გადაჭრით განაცხადეს უარი თავისუფალ მეომართა რაზმებში შესვლაზე, არამედ სცდილობდნენ სხვა ადგილობრივ მცხოვრებთა ტუნგუსებისა და გოლდებისათვისაც ჩაეგონებინათ, ამ რაზმებში ნუ ჩაეწერებითო. გოლდები ეწერებიან. იმათ აფასებენ როგორც კარგ მსროლელებს და გზის მაჩვენებლებს. რადგან ამურის ბოლოში დასახლებული გილიაკები სანდონი არ არიან და იაპონელებს შეუძლიათ ისინი ჯაშუშებად და გემების ლოცმანებად გამოიყენონ, ადმინისტრაციამ განიზრახა მათი გადასახლება მდინარეს სათავესთან. პირველ გემით გაგზავნეს ხაბაროვსკში 300 ადგილობრივი მცხოვრები იაპონელი. იაპონელთა შორის გაჩნდა ავადმყოფობა „ბერიბერი“ და უკვე რამდენიმე კაცი იმსხვერპლა.

მუკდენი („რეიტ. სააგ.“). იაპონელებმა 15 მაისს ღამე ისევ განიზრახეს პორტ-არტურის ნავთსადგურის ჩაკეტვა, გაგზავნეს ციხისაკენ სავაჭრო გემები, რომლებიც ნავთსადგურის შესავალში უნდა დაელუპათ. რუსებმა ელექტრონის პროჟექტორების შემწეობით დროზე აღმოაჩინეს ისინი, ბატარეებიდან ზარბაზნები დაუშინეს და დალუპეს იაპონელთა ერთი საკანონირო გემი და ორი ნაღმიან გემების გამანადგურებელი გემი. ამის შემდეგ ბრანდერები წავიდნენ. აქ მიღებულ ცნობებით, გენერალ სტესსელის ჯარმა დაიჭირა სტრატეგიული პოზიცია პორტ-არტურთან, რომელსაც ჰფარავენ გარეშე ფორტებისა და ციხის ბატარეების ზარბაზნები. ჰფიქრობენ, რომ გენერალ ოკუს არმიას დიდი მაშველი ჯარი შეუერთდა, რომელიც დაგუშანიდან მოვიდა, სადაც გადმოსხეს იაპონელთა მესამე არმია. ლიაოიანთან მყოფ ჯარებში არავითარი მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. მუკდენის ირგვლივ, 60 მილის მანძილზე, იაპონელების კვალიც-კი არ არის. ყველგან სრული წესიერებაა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არც-კი იციან, რომ რუსეთი ეომება იაპონიას.

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). რუსებმა საჩქაროდ გაიყვანეს ჯარი დალნიდან. სცდილობდნენ ქალაქი დაენგრიათ, მაგრამ დიდი ზარალი არ მიუყენებიათ. იაპონელთა მზვერავნი ამბობენ, რომ დაზიანებულია ასამდე ყაზარმა და საწყობი, რკინის გზის სადგური და სატელეგრაფო კანტორები. რკინის გზა არ დაუზიანებიათ. რუსებმა დაანგრიეს დიდი სანაპირო და შეკრეს შინაგანი ბასეინი, რომელშიაც გემები დალუპეს. მოლი არ დაზარალებულა. ფიქრობენ, რომ ოკუს არმია დაუყოვნებლივ დაიჭერს დალნის.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). ადმირალმა ტოგომ ორშაბათ დილას გაგზავნა საკანონირო ნავები, ორი ნაღმიან გემების გამანადგურებელი ნავი და ორი ნაღმიანი გემი პორტ-არტურთან ადგილების დასაზვერავად. იაპონიის გემებს ზარბაზნები დაუშინეს სანაპირო ბატარეებიდან. ერთი ყუმბარა მოჰხვდა საკანონირო ნავს, რომელზედაც მოკლულ იქმნა ერთი უნტერ-აფიცერი, დაჭრილ იქმნა სამი მატროსი და დაზიანებულ იქმნა ერთი ზარბაზანი. იაპონელებმა შეამჩნიეს რუსებისაგან ახლად აგებული სადგური ელექტრონის პროჟექტორებისა, აგრეთვე ორი ახალი სიმაგრე ლიაოტეშანის კონცხზე.

ჩიფუ („რეიტ. სააგ.“). 18 მაისს მოსულ ჩინილებმა ამბავი მოიტანეს, იაპონელებმა დალნი დაიჭირეს და მათთვის წინააღმდეგობაც არ გაუწევიათო. საღამოს მოვიდა 500 ჩინელი, დღეს დალნიდან გამოქცეული. როგორც სჩანს, რუსებს ტალიენვანი 13 მაისს დაუტოვებიათ და პორტ-არტურისაკენ წასულან. წასვლის წინ გადაუწვავთ ყველაფერი, რასაც-კი ფასი გააჩნდა. იაპონელებმა და ავაზაკებმა ქალაქი ჩაიგდეს ხელში. რუსებმა დასტოვეს დალნი 13 მაისს და წინ-და-წინვე ცეცხლი წაუკიდეს რკინის გზის მმართველობას, დასწვეს სამი სავაჭრო გემი, მიწის ამოსაღები მანქანები, ორთქლ-მავალი ნავები.

ზოგი ამტკიცებს, რუსებმა დალუპეს აგრეთვე თავისი საკანონირო გემი „ბობრ"-ი და სამი ნაღმიანი გემიო. სხვები ამტკიცებენ, ეს გემები პორტ-არტურს დაბრუნდნენო. შიდა ნავთსადგური და მისი კედელი უვნებლად დარჩა. ავაზაკებმა ხარკი დააკისრეს მცხოვრებთ. 15 მაისს ქალაქს ცეცხლი ეკიდებოდა. ავაზაკებმა დალუპეს ერთი ნავი, 50 ჩინელი დაიხრჩო.

(დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი იუწყება: იაპონელები პორტ-არტურის ასაღებად სულ ძველ გამოცდილ ჯარის-კაცებს ჰგზავნიანო. ეს ჯარის-კაცები 1894—1895 წელს ჩინეთის ომის დროს იბრძოდნენ და პორტ-არტურის აღებაშიაც მონაწილეობას იღებდნენ. („რ. ლ.").

„დეილი ქრონიკლ"-ს ატყობინებენ შანჰაიგუანიდან: ხმა დადის, იაპონიის ჯარმა სიუაიანის (დაგუშანსა და გაიჩოუს შუაა) გვერდზე გაიარა და გაიჩოუსაკენ წავიდაო.

გერმანულ სამხედრო ჟურნალ „მილიტერ ვოხენბლატ"-ის თანამშრომელი სწერს: ამ ჟამად იაპონელებმა სარეზერვო ჯარიც გადმოიყვანეს მანჯურიაში, ასე რომ ყოველ დივიზიაში 20 ათასი კაცი ეყოლებათ. გენერალ კუროკის სამი დივიზია ჰყავს, სამი ახალი დივიზია ეხლა გადმოიყვანეს, ასე რომ იაპონელებს ზევით ხაიჩენისა და ლიაოიანისაკენ 120 ათასი ჯარის-კაცი ეყოლებათ. გენერალ კუროპატკინს-კი, გერმანელ და ინგლისელ სამხედრო კრიტიკების აზრით, 100 ათასზე მეტი კაცი არა ჰყავს. ამას გარდა იაპონელებს უფრო მალე შეუძლიანთ ახალ მაშველ ჯარის მოყვანა, ვიდრე რუსებს. იაპონელებს ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე, პორტ-არტურისაკენ კიდევ სხვა ჯარი ჰყავთ. გენ. კუროკი ცდილობს, რომ რუსის ჯარის მარცხენა ფრთას გვერდიდან მოუაროს. ამიტომ კუროკი თავის მარჯვენა ფრთას წინა ჰგზავნის, შუა ჯარსა და მარცხენა ფრთას-კი ჯერ-ჯერობით უკან აყენებს და რუსის ჯარს არიდებს, სანამ მარჯვენა ფრთა თავის საქმეს არ შეასრულებს. ამიტომ გენ. კუროპატკინი სწერს თავის მოხსენებაში, იაპონელები ფინხუანჩენს ახლო ჩემს ყაზახებს რომ ჰხვდებიან, უკან იხევენო. ასე რომ ამ ჟამად რუსის ჯარი ლიაოიანს ახლო იყრის თავსა, იაპონელები-კი რუსის მარცხენა ფრთას გვერდიდან უვლიან. თუ საქმე ასე წავიდა, იქნება ბოლოს რუსებმა იაპონელების ჯარი ვეღარ შეაყენონ. („რ. ლ.").

იაპონელებმა ანტვერპენში ერთის კომპანიისაგან სამი სატრანსპორტო გემი იყიდეს; თითო გემი 3 ათას ტონას იტევს. („რ. ვ.")

ამას წინად საესკადრო ჯავშნიანი გემი „ორიოლ"-ი 8 მაისს პეტერბურგიდან კრონშტადტს წავიდა, გზაში წყალი შეუვიდა მაშინის განყოფილებაში, ნელ-ნელა წყალში ჩაეშო და ზღვის ძირზე დადგა (ამ ადგილებში თხელი წყალია), მაგრამ მაშინვე სხვა გემები მისცვივდნენ და „ორიოლ"-იდან წყლის ამოქაჩვა დაიწყეს. 10 მაისს სულ ამოქაჩეს წყალი. აღმოჩნდა, რომ „ორიოლ"-ი ჩაძირვის დროს ცოტათი დაზიანებულიყო. გემს მალე შეაკეთებენ და ბალტიის ესკადრასთან შორეულ აღმოსავლეთს გასაგზავნად დაამზადებენ.

ბრძოლა ცინჯოუსთან. ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ ტოკიოდან: ცინჯოუ კვანტუნის ნახევარ კუნძულის ვიწრო ყელში მდებარეობს, ამაზე ვიწრო ადგილი მთელ ნახევარ-კუნძულზე არაა. ცინჯოუსთან ყელს სულ სამი ვერსტი სიგანე აქვს, აქეთ-იქით ზღვაა. აქედან პორტ-არტურამდე 47 ვერსტია. იაპონელებმა ცინჯოუზე 12 მაისს, ოთხშაბათს საღამოს მიიტანეს პირველად იერიში: ქვეითა ჯარი იერიშით წავიდა, არტილერიამ ნანგუანლინთან უმთავრეს რუსის პოზიციას დაუშინა ზარბაზანი. რუსები მეტად ვიწრო ადგილას იდგნენ და მეტად მამაცად იბრძოდნენ, მაგრამ იაპონელებმა ისეთ მარჯვე ადგილას დააწყეს ზარბაზნები და ისეთი საშინელი სროლა ასტეხეს, რომ რუსებმა ძალა უნებურად პოზიციები დასტოვეს და ცინჯოუს სამხრეთით გამაგრდნენ. 13 მაისს, ხუთშაბათ დილით, იაპონელებმა ამ პოზიციებზეც მიიტანეს იერიში და თავიანთი არტილერია მალე ისეთ მოხერხებულ მაღლობ ადგილებზე დააყენეს, რომ რუსებს ბრძოლა აღარ შეეძლოთ და ეს პოზიციებიც დასტოვეს. რუსები კიდევ ერთხელ შეეცადნენ ცინჯოუს ქვემოდ გამაგრებას, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს გახდნენ. იაპონელებსაც და რუსებსაც დიდი ზარალი მოუვიდათ. („რ. ლ.").

მცურავი ნაღმები გაშლილ ზღვაში. იაპონელების ჯავშნიანი გემი „ხაცუზე", როგორც ვიცით, გაშლილ ზღვაში მოჰხვდა მცურავ ნაღმს და დაიღუპა. ინგლისური გაზეთები გაჯავრებით სწერენ, გაშლილ ზღვაში ნაღმების ჩაწყობა საერთაშორისო უფლებას არღვევს, რადგან გაშლილ ზღვაში ნეიტრალურ სახელმწიფოს გემიც ადვილად წააწყდება ამ ნაღმსაო, ზღვის ნაპირიდან 3 მილზე შორს ნაღმების ჩაწყობა აკრძალულიაო. ამერიკის საზოგადოებაც ეთანხმება ამ აზრს და ამტკიცებს, რომ გაშლილ ზღვაში ნაღმების ჩაწყობა საერთაშორისო დადგენილებას ეწინააღმდეგებაო. („რ. ს.").

„დეილი ექსპრეს"-ის საგანგებო კორესპონდენტი იუწყება ვეიხაივეიდან: რუსებმა ასობით გაფანტეს მცურავი ნაღმები ზღვაში, რომ იაპონიის ფლოტი პორტ-არტურსა და დალნის ახლო ვეღარ მიეკაროს. რუსის გემმა „ენისეი"-მ სულ მცირედ 180 ნაღმი ჩააწყო დალნიში და ბოლოს თითონაც თავისავე ნაღმს მოჰხვდა და დაიღუპა. ეს ნაღმები მომეტებულ ნაწილად წყალმა ზღვაში გაიტანა. ამას გარდა, რუსებმა პორტ-არტურთანაც დიდ-ძალი ნაღმი ჩააწყეს. ჩემის აზრით, ამ ჟამად პორტ-არტურს ახლო და მთელ ყვითელ ზღვაში 400 მცურავი ნაღმი მაინც იქნება. ამბობენ, ვეი-ხაი-ვეის ახლოც კი უნახავთ ნაღმებიო. ვეი-ხაი-ვეიში ინგლისის 12 სამხედრო გემი დგას; იქ ამერიკისა, საფრანგეთისა და გერმანიის კრეისერებიც ხშირად შემოდიან, ასე რომ რუსის მცურავი ნაღმები ნეიტრალურ სახელმწიფოების სამხედრო და სავაჭრო გემებისათვისაც მეტად საშიშნი არიან. თუ ნეიტრალურ გემს რაიმე უბედურება შეემთხვევა ამ ნაღმებისაგან, მაშინ რუსეთმა ეს გემი უნდა ზღოს და იქნება დიპლომატიური უსიამოვნებაც მოუვიდეს სახელმწიფოებთან. („რ. ლ.").

„ტაიმს"-ის კორესპონდენტი იუწყება: რუსები ყველგან ზღვის ნაპირს ახლო ნაღმებს აწყობენ, წყალი ჰგლეჯს ამ ნაღმებს და შორს გაშლილ ზღვაში გააქვს. ვეი-ხაი-ვეის ახლო ორი მცურავი ნაღმი ვნახეო.

„დეილი ქრონიკლ"-ს ატყობინებენ: ინგლისის ესკადრა ყვითელ ზღვისაკენ ვეღარ წასულა, რადგან ყველგან მცურავი ნაღმებია გაფანტულიო.

ინგლისელი ადმირალი ხორეი სწერს გაზ. „ტაიმს"-ში: მცურავმა ნაღმმა გაშლილ ნეიტრალურ ზღვაში გინდ მტრის გემიც დაღუპოს, ეს უბრალო მკვლელობად უნდა ჩაითვალოსო. („რ. ლ.").

„დეილი ექსპრეს"-ს ატყობინებენ დეპეშით: რუსეთი იმ აზრისაა, რომ ყვითელ ზღვაში ნაღმების ჩაწყობა სრულობით არ ეწინააღმდეგება ჟენევის კონვენციასა ან საერთაშორისო უფლებასაო. რუსეთის აზრით, „ომში ყველაფერი შეიძლებაო". („რ. ლ.").

„დეილი მეილ"-ს ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონიის მთავრობა ამტკიცებს, ჩვენი მეზღვაურები გაშლილ ზღვაში არას დროს არა ჰყრიან ნაღმებსაო.

ზოგიერთი გაზეთი-კი უფრო თავდაჭერით სწერს ამ საქმეზე და ამბობს, რუსეთმა რა ჰქნას, მცურავი ნაღმი რომ წყალმა მოჰგლიჯოს და გაშლილ ზღვაში გაიტანოსო. წყალს ხშირად გააქვს ნაღმი ზღვაში, მეტადრე ქარიშხლისა და ღელვის დროსაო. („რ. ვ.").

ინგლისელების აზრი იაპონიის ფლოტის ზარალზე. „ხაცუზე"-სა და „იოშინო"-ს დაღუპვამ მთელი ლონდონი დაალონა, თურმე. „რუსკაია ვედომოსტი"-ს კორესპონდენტი სწერს: „როცა იაპონიის გემების დაღუპვის ამბავი მოვიდა, ხალხი ერთმანეთს ხელიდან სტაცებდა დეპეშებს. დეპეშები და გაზეთები შუაღამემდე იყიდებოდა. ჯერ არავის სჯეროდა ეს ამბავი, მერე-კი ყველა დარწმუნდა, რომ დეპეშამ სწორე ამბავი მოიტანაო. ინგლისურმა გაზეთებმა ვრცელი წერილები უძღვნეს იაპონიის ფლოტის ზარალს. „ტაიმს"-მა ორი წერილი დაბეჭდა: ერთში დაღუპული გემები „ხაცუზე" და „იოშინო" აწერია დაწვრილებით და კარგად განმარტა, რა კარგი გემები დაეღუპა იაპონიას და რა დიდი ზარალი მოუვიდა. მეორე წერილში „ტაიმს"-ი ამტკიცებდა: ამ გემების დაღუპვა არაფერს გავლენას არ იქონიებს ომის საქმეებზეო. იაპონიის ფლოტი ამას იქითაც ისევ ისე იბატონებს ზღვაში, როგორც დღემდე ბატონობდაო. ეს უბედურობა რომ წინად მომხდარიყო, როცა იაპონიას ჯარი არა ჰყავდა გადაყვანილი ხმელეთზე, იქნება გავლენა ჰქონოდა საქმეზეო, ეხლა კი არაფერს გავლენას აღარ იქონიებსო.

„სტანდარდ"-მაც ასეთივე აზრი გამოსთქვა: „გემების დაღუპვა ხელს ვერ შეუშლის ადმირალ ტოგოს, იმისი ფლოტი მაინც ძლიერია რუსის ფლოტზეო". სხვა გაზეთებიც თითქმის ასეთსავე აზრს გამოსთქვამდნენ.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 20 მაისისათვის, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია წლიური კრება ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეების** დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს: ანგარიში 1903 წლის მოქმედების შესახებ, სავარაუდო აღრიცხვა 1904 წლისათვის, საპენსიო წესდების პროექტი სათავად-აზნაურო სკოლის მოსამსახურეთათვის, მოხსენება წესდების მე-14 და მე-18 მუხლების შესავსებად, მოხსენება გამგე კომიტეტისა დედათა სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ და სხვ. დასასრულ კრებამ უნდა აარჩიოს კომიტეტის ერთი წევრი გ. დ. ჟუ-ულის ნაცვლად, რომელმაც ვადამდე თავი დაანება სამსახურს.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუწყვეტია, შეჰკრიბოს დაწვრილებითი ცნობები ყველა საყანე ადგილებისა და აგრეთვე **პურის მოსავლის** შესახებ მთელს **კავკასიაში.** ამის გამო მთავარ სასტატისტიკო კომიტეტს ადგილობრივ კომიტეტებისათვის გამოუგზავნია ქართულსა, სომხურსა და თათრულს ენებზე დაბეჭდილი ბლანკები. ამ ბლანკებში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უნდა ჩასწერონ ცნობები.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 18 მაისს დაადგინა, დაავალოს სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს, **მოსწავლეთა** მიღების დროს უპირატესობა მისცეს იმათ, რომელთაც ქალაქის სკოლები დაუმთავრებიათ და ქალაქის მკვიდრნი არიან.

◆ კავკასიის **საბებიო ინსტიტუტში** ეგზამენები დაიწყო 15 მაისს და დასრულდება 1 ივნისამდე. წელს ინსტიტუტს ათავებს 30 ქალი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უყურადღებოდ დასტოვა მეეტლეთა თხოვნა **ნიხრის მომატების** შესახებ.

◆ 18 მაისს **დასრულდა ეგზამენები** და მოსწავლენიც დაითხოვეს ტფილისის პირველ დაწყებით სასწავლებლებში.

◆ როგორც 1903 წლის ანგარიშიდან სჩანს, **დუშეთის მაზრაში** 80,065 სული მცხოვრები ყოფილა; აქედან ქართველი—70,720 სული, სომეხი—5339, ხოლო რუსი—73 სული. წლის განმავლობაში მომკვდარა 1030 სული. მთელ მაზრაში 21 სკოლა ყოფილა: 6 სამინისტრო, 14 სამრევლო და 1 კერძო. მოწაფე ყოფილა 11,17 სული. აქედან ქართველი—963, სომეხი—145

ფელეტონი

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 25 წლის განმავლობაში

(1879—1904)

II. საზოგადოების სკოლები *)

ახალს დაბრკოლებას ბათუმის სკოლისათვის წარმოადგენდა ქონებრივი საშუალების უქონლობა. ბათუმის სკოლა თავიდანვე ითხოვდა განსაკუთრებულს ხარჯს. ბათუმში ცხოვრება ძვირი იყო, მასწავლებელს მეტი ჯამაგირი უნდა მისცემოდა, სასკოლო სახლის ქირაც დიდი იყო. ბათუმის სკოლა უფრო მეტი უჯდებოდა საზოგადოებას, ვიდრე სხვა სკოლები. უმთავრესი ნაწილი საზოგადოების შემოსავლისა უნდებოდა ბათუმის სკოლას და სხვა საჭიროებისათვის ძლიერ ცოტა ფული რჩებოდა. საზოგადოების გამგეობა... საფიქრებელში ჩავარდა ამის გამო: ან უნდა დაეხურა ბათუმის სკოლა, ან ხელი უნდა აეღო სხვა საქმეებზე. გამგეობას იმედი ჰქონდა, რომ საზოგადოების შემოსავალი იმატებდა, მაგრამ იმედი არ გამართლდა: [illegible] მატულობდა და შემოსავალი-კი პირიქით კიდეც კლებულობდა. ისე წლიური კრება არ მომხდარა, რომ ბათუმის სკოლის არსებობაზე არ ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი. საზოგადოება ვერ ჰბედავდა სკოლის დახურვას, ცდილობდა როგორმე ღონისძიება მოეპოვებინა სკოლის შესანახად: ჰნიშნავდა ცალკე კომისიებს, რომელთაც მარტო ბათუმის სკოლისათვის უნდა ეზრუნათ; ჰმართავდა კონცერტებს, წარმოდგენებს; ხმარობდა სხვა ღონესაც, ოღონდ სკოლა არ გაუქმებულიყო. გაზეთებმაც მიაქციეს საზოგადოების ყურადღება ბათუმის სკოლის გაჭირვებულ მდგომარეობისადმი. თვითონ გამგეობამაც მოწოდება დაჰბეჭდა, რომელშიაც შემწეობას სთხოვდა საზოგადოებას ბათუმის სკოლისათვის. 1886 წ. ტფილისში მცხოვრებ წევრთა შორის აღიძრა შიში ბათუმის სკოლის მომავალ ბედის შესახებ და მათ მიმართეს გამგეობას თხოვნით, რომ დანიშნულიყო საგანგებო საზოგადო კრება, რომელიც შესდგა 30 ნოემბერს და 2 დეკემბერს. გამგეობამ მოახსენა კრებას, თუ რა მოსაზრების ძალით გაიხსნა ბათუმის სკოლა, რამდენ ხარჯს თხოულობდა სკოლა ყოველ წლივ და რამდენად აუტანელი იყო ეს ხარჯი საზოგადოების წლიურ შემოსავლისათვის. კრებამ აირჩია საგანგებო კომისია, რომელსაც უნდა გამოეძებნა განსაკუთრებული საღსარი სკოლის დასაცველად. კომისიამ საუკეთესოდ დაინახა, თვით ბათუმელებისათვის დაევალებინა სკოლის მოვლა, თვით ბათუმელებს ეზრუნათ სკოლისათვის და მოეპოვებინათ მისთვის საშუალება. ამ აზრით 1887 წ. დაარსდა ბათუმში ადგილობრივი სამზრუნველო, რომელმაც მართლაც დიდი უნარი გამოიჩინა სკოლის შენახვა-პატრონობაში. დღეს სამზრუნველო თვითონ ჰპოულობს საშუალებას სკოლის შესანახად და აგროვებს საჭირო ფულს ადგილობრივ ქართველთა შორის. სამზრუნველოს შემწეობით 1895 წლიდან სკოლას აქვს საკუთარი შენობა, რომელიც ააგო ქალაქისაგან ნაჩუქარ მიწაზე და რომელიც 15 ათას მანეთამდე ღირს. დაარსებიდან 23 წლის განმავლობაში ბათუმის სკოლაში სწავლობდა სულ 1821, ამ რიცხვში ქართველი მაჰმადიანი იყო 318; სკოლა გაუთავებია უკანასკნელ 11 წლის განმავლობაში 125. კარგ მოსწავლეთა რიცხვი უკანასკნელ წლებში შეადგენს 80%-ს. სწავლის მხრივ ბათუმის სკოლა მშვენიერად არის დაყენებული. ასეთი სკოლის ღირსება იძულებულნი არიან აღიარონ მთავრობის რევიზორებმაც. უმაწვილები მეცადინეობენ დიდის წარმატებით; მათი გონივრული პასუხები, საფუძვლიანი ცოდნა, სიმკვირცხლე, მხნეობა და წესიერება აშკარად გვიმტკიცებს, რომ მასწავლებელნი დიდის სიყვარულით და თავგამოდებით ეკიდებიან საქმეს. 1898 წ. სკოლა დაათვალიერა ბ. ი. გოგებაშვილმა, რომელიც თავის მოხსენებაში სწერდა: „ბათუმის სკოლა წარმოადგენს ამ ჟამად ნამდვილს პედაგოგიურს სასწავლებელს, ჭეშმარიტს ლამპარს განათლებისას, რომელიც მეტად დაეხმარება ქართველების გაძლიერებას ამ მხარეში". სკოლის წარმატებას ბოლო წლებში დიდად შეუწყო ხელი ის. რამიშვილმა, რომელიც მასწავლებლობდა სკოლაში 1897—1903 წლის სექტემბრამ

დღეს სკოლაში ოთხი მასწავლებელია. ქართულ დათმობილი აქვს ყველა განყოფილებებში 1 გა რამდის 27 გაკვეთილი, პირველ იანვრიდან-კი როდესაც პირველ განყოფილებაში რუსულის სწავლებას იწყებენ—24 გაკვეთილი; რუსულ ენის 1 გან. 6 გაკვეთილია (მხოლოდ წლის მეორე ნახევრიდან), მე-II გან.—6, მე-III-ში 8 და მე-IV გან. 8.

ბათუმელ ქართველებს დიდი ხანია უნდოდათ ბათუმის სკოლასთან საქალებო განყოფილებ დაეარსებინათ. მაგრამ ეს მოუხერხებელი შეიქნა. ეხლა განზრახვა აქვთ, ცალკე სკოლა გამართონ ქალებისათვის.

4. წინარეხის სკოლა (გორის მაზრა). საზოგადოების გამგეობამ პირველ წელსვე დაე გინა: ყოველი სოფლის საზოგადოებას, რომელიც სკოლის გახსნას და იმის არსებობისათვის 350—400 მან. დაიდებს სამუდამო ხარჯს, წერა-კითხვის საზოგადოება დაეხმარება. ამგვარად—გაუ სასკოლო შენობს, სკოლის აშენებაში ფულს, გაუგზავნის ყოველ წლივ სამას წიგნებს, მოუძებნის საიმედო მასწავლებელს იკისრებს სკოლის მართვას და გამგეობას. ნ ბების მისაღებად იმის შესახებ, თუ სად აპირე დნენ სოფლელები სკოლის გახსნას, გამგეობა ჯერ მაზრის უფროსებს მიჰმართა, მერე—რაკი ამათგან ვერავითარი ცნობა ვერ მიიღო,—საკუ თარი აგენტები გაგზავნა, მაგრამ მაზრის უ

---

*) იხ. „ცნ. ფურც". № 2480.

რუსი—ყ. მთავრობას დაუხარჯავს ამ სკოლებზე—4095 მანეთი, ხოლო გლეხობას—5568 მ. 31 კ. ქარხანა ყოფილა 5, მუშა—231. სასოფლო სამმართველოების შესანახად გლეხებს დაუხარჯავთ 15,895 მანეთი. პურის მაღაზიის თანხა უდრის 88,310 მ. და 56 კ. სეტყვას მოუტანია 52,471 მანეთის ზარალი.

◆ **ქ. ახალქალაქი (ჯავახეთი).** 15 მაისს, საღამოთი, მთებზედ დაიწყო თოვა და კვირას, 16 მაისს, მთელი მაზრა თოვლით იყო შემოსილი. თექვსმეტში მთელი დღე თოვდა, მზე ამ დღეს არ დაგვინახავს. ქალაქის მცხოვრებლებმა მიწის სახურავებიანი სახლები თოვლისგან ძლივს გაანთავისუფლეს, ქუჩები ჩვეულებისამებრ ატალახდა. სოფლელებმა ოთხფეხი საქონელი მთელი დღე სახლებში დაამწყვდიეს და ბზით ასაზრდოვეს.

◆ გუშინ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის გამგეობას, შეაჩეროს და სისრულეში არ მოიყვანოს საბჭოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ქუჩების მომკირწვლელ კომისიის ინჟენერს ალხაზოვს ფულით შემწეობა აღმოეჩინოს.

◆ 18 მაისს მოხდა შეერთებული კრება ტფილისის ქალაქის გამგეობისა და სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებისა. კრებას უნდა გამოეკვლია ის მიზეზები, რომელთა მეოხებითაც **გადასახადებს დროზედ ვერა ჰკრებავენ** აგენტები. კამათის დროს გამოირკვა, რომ გადასახადისა 230,000 მანეთამდეა დარჩენილი; 70,000 მან. მეტი დარჩენილია სახელმწიფო დაწესებულებებზე. მთელი საღამო კრებამ ამ საკითხის განხილვას მოანდომა. ბოლოს დაადგინა, დაევალოს სავაჭრო პოლიციის აგენტებს, შეადგინონ ვრცელი სიები იმათი, ვისგანაც ფულის მიღების იმედი არის და არ არის, აგრეთვე შეჰკრიბონ მათვე მასალა და ერთად გამოიკვლიონ ნამდვილი მიზეზები ფულის შეუტანლობისა. კრებამ დაავალა აგრეთვე აგენტებს, შეადგინონ სიები ყველა იმ მამულისა, რომლის დაფასებაც გამორჩა დამფასებელ კომისიას და აგრეთვე თვალ-ყური ადევნონ, რომ ქალაქის ადგილები არავინ მიითვისოს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა ნ. პ. კოკჩაევის მოხსენება **საიურისკონსულტო ნაწილის** მოწყობის შესახებ. ბ-ნ კოკჩაევის აზრით, ქალაქის გამგეობამ უნდა მოიწვიოს უფროსი იურისკონსულტი, რომელსაც წელიწადში 4000 მან. უნდა დაენიშნოს. იგი უნდა ესწრებოდეს გამგეობის ყველა იმ სხდომას, რომლის დროსაც განირჩევა სასამართლოს შესახები საქმეები. ამ იურისკონსულტს თავის თანამდებობის გარდა სხვა არავითარი საქმე არა ჰქონდეს. მეორე (ეხლანდელ) იურისკონსულტს უნდა დაენიშნოს 2500 მან. ხოლო იმის თანაშემწეს—1200 მან. წელიწადში. გამგეობამ დაადგინა, ამ მოხსენების განსახილველად მიიწვიოს იურისტი-ხმოსნები.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ არ შეიწყნარა „კავკ. ლისტოკ“-ის **რედაქტორ-გამომცემელის ნ. ი. თამამშევის** თხოვნა. როგორც ვუწყით, ხსენებული რედაქტორ-გამომცემელი სთხოვდა გამგეობას, 6800 მანეთი მომეცით წელიწადში და ქალაქის ყველა განცხადებას დავბეჭდავ ჩემ გაზეთშიო. დღეს გამგეობას განცხადების ბეჭდვაში ყოველ წელს 4000 მანეთამდე ეხარჯება.

◆ გუშინ დაურიგდათ ტფილისის ხელის მომწერთ და ხვალ დაურიგდებათ პროვინციაში ჟურნალ **„მოამბის“** მეოთხე №-რი შემდეგის შინაარსით:

1) საექიმო ამბები, კონან დოილისა, თარგმანი ივ. ზურაბაშვილისა.—2) ია, სააღდგომო ეტიუდი ტ. შჩეპკინისა, თარგმანი ალ. სოლოღაშვილისა.—3) სამშობლო, ოთხმოქმედებიანი დრამა ქემალ-ბეგისა თარგმანი სანჯალ-ბეგისშვილის აბაშიძისა.—4) გლეხი კაცი, წიგნი მეორე, თავი I—II. რომანი ვილჰელმ ფონ პოლენცისა, თარგმანი ივ. პოლუმორდვინოვისა.—5) ცხოვრება და ღვაწლი თ-დის გრიგოლ ორბელიანისა, თავი IX—XII ი. მეუნარგიასი.—6) ვეფხის ტყაოსნის ახალის გამოცემის რეცენზიის გამო, დ. კარიჭაშვილისა.—7) თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი, მ. ჯანაშვილისა.—8) ახალი ზელანდია, ინგლისის ახალშენი, თავი VIII—3. გ. მეჟუევისა, თარგმანი ნ. ალნიაშვილისა.—9) ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.—11) ვლადიმერ ალნიაშვილი.—12) შინაური მიმოხილვა.—13) უცხოეთის მიმოხილვა.

ამ №-თან ხელის მომწერთ ეგზავნებათ **სურათებიანი დამატების** მე-220 №-რ, რომელშიაც მოთავსებულია: ლექსები, ევდოშვილისა და ახოსპირელის; „გზაში“, ჩეხოვისა; სურათები: „ვენეციის ერთი კუთხე“, „მობანავე ქალი“ და სხვა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულმა კომისიამ გასინჯა რამდენიმე ადგილი, სადაც უნდა აშენდეს ქალაქის საავადმყოფო, და ყველაზე უფრო მოხერხებულად სცნო საავადმყოფოსთვის ბალახვანის ქუჩაზე, კახიანაურში, მდებარე ქალაქის ადგილი, სივრცით სამ ქცევამდის. როგორც გავიგეთ, ერთ ხმოსან ექიმს წინადადება შეაქვს საბჭოში, რომ მომავალ საავადმყოფოს ასაშენებლად და შესანახავად გადადებულ იქმნას ქალაქის აფთიაქის მთელი შემოსავალი.

◆ ტფილისიდან დაბრუნდა ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე.

◆ როგორც გავიგეთ, ჩვენი მსახიობი ვლ. მესხიშვილი უეცრად მძიმე ავად გამხდარა ბათუმში, სადაც საქველმოქმედო წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად იყო წასული. ამის გამო 16 მაისისათვის ქუთაისის თეატრში წარმოსადგენად დანიშნული შილლერის „ყაჩაღები“ გადადებულ იქმნა.

◆ ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული კომისია, როგორც იქმნა, შეუდგა თვითმმართველობაში მოსამსახურე პირთათვის დასაარსებელ საპენსიო კასის პროექტის შემუშავებას.

◆ სადორიის აგარაკში გაცხარებული მუშაობაა; ცარიელი ადგილები კარეშემო უკვე შემოგეგმეს და ეხლა სამოსახლოებად ჰყოფენ. თითო სამოსახლო ადგილი იქმნება სივრცით საზოგადოდ 200 ოთხ-კუთხი საჟენი ზოგიერთს შემთხვევაში კი არა ნაკლებ 100-ისა და არა უმეტეს 300 ოთხ-კუთხ საჟენისა. უმთავრეს ქუჩებს ექმნება სიგანე 10 საჟენი, შუკებს 8 საჟენი; ტროტუარებისთვისაც ქუჩების ნაპირებზე სტოვებენ თითო საჟენს. აგარაკში უნდა დასტოვონ ცარიელი ადგილები მოედნისთვის, ბაღისთვის, ეკკლესიისა და სკოლის შენობისთვის და სხ. ამ დღეებში ქალაქის გამგეობა ინჟენერისა და მიწის მზომლის თანადასწრებით უნდა წავიდეს აგარაკში და ადგილობრივ ამოარჩიოს თავისუფლად დასატოვებელი ადგილები. აგარაკის სამოსახლოებად დაყოფა შუა ივნისამდის გათავდება და შემდეგ იჯარითაც გაიცემა. ადგილების იჯარით აღების მსურველი აუარებელია.

ტფ. საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

19 მაისი

სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრებამ მთელი მეორე სხდომა მოანდომა ერთის მოხსენების განხილვას,—მოხსენებას იმ მამულების შესახებ, რომელიც ბანკს დარჩა.

როგორც მოხსენებიდანა სჩანს, ამ მხრით საანგარიშო წელიწადი არაფერს სანუგეშოს არ წარმოადგენს თავად-აზნაურთა ბანკისათვის. იმ წელს ბანკს სულ დარჩენია 38 მამული, რომელთა თავნი ვალი უდრის 740.503 მანეთს და 96 კ., ხოლო ნედოიმკები 1903 წლის 3 დეკემბრამდი—67.944 მანეთს. თუ ამ მამულებს მივუმატებთ იმ მამულებსაც, რომელიც 1903 წლამდე დარჩენია ბანკს, დავინახავთ, რომ სულ ამგვარი მამული ყოფილა 47 თავნი ვალით 824.295 მან. 99 კაპ. და ნედოიმკით 73.317 მან. 60 კაპ. თუ ამ მამულებიდან გამოვრიცხავთ ზოგიერთთ, რომელთა გამო ბანკს დავა აქვს სასამართლოებში და აგრეთვე იმ მამულებსაც, რომლებიც ბანკს წელს (1904) გაუყიდნია, მაინც დაგვრჩება საკმაოდ საგრძნობელი რიცხვი გაუყიდავ მამულებისა—სულ 26 მამული, რომელთაც კარგა მოზრდილი თავნი ვალი აწევთ—420.710 მან. 61 კაპ., აღსანიშნავია ამასთანავე, რომ უმეტეს ნაწილად ბანკს ქალაქის მამული დარჩენია და აგრეთვე ისიც, რომ ყველა ეს მამული (ერთის გარდა) ბანკს გირაოდ მიუღია 1900 წლიდან დაწყებული.

ეჭვს გარეშეა, ბანკის გამგეობას ყურადღება უნდა მიექცია ასეთ ანორმალურ მდგომარეობისათვის და ისიც თავის მოხსენებაში ცდილობს ახსნას ეს საზარალო გარემოება. გამგეობის ფიქრით, ის ფაქტი, რომ ბანკს უმთავრესად ტფილისის განაპირა ადგილების მამულები დარჩა გაუყიდავი, ცხადათ გვიჩვენებს ამის მიზეზსაო; მიზეზი ის არის, რომ ბევრი მუშა-ხელოსანი ქალაქიდან წავიდაო, ბევრი ერიდება განაპირა ადგილებში ცხოვრებას, ბევრი სავაჭრო დაწესებულება დაიკეტა და ყველა ამის გამო იმ ადგილებში მამულების ფასი დაეცა და ბანკმა მათი გაყიდვა ველარ მოახერხაო.

ამ საზოგადო მიზეზს გამგეობა იმასაც დასძენს, რომ დამფასებელნიც ბეჯითის ყურადღებით ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, საკმაო ცნობებს ვერ აგროვებენ მამულების რიგიანად დაფასებისათვის და ამიტომ ხშირად ხდება, რომ მამული ზედმეტად არის დაფასებულიო. ამ სამწუხარო მოვლენის თავიდან ასაცილებლად გამგეობა ურჩევს კრებას ფრთხილად აირჩიოს ხოლმე დამფასებელ კომისიის წევრები

მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. რწმუნებულებმა უმთავრესი ყურადღება მეორე მიზეზს მიაქციეს და დამფასებლების მოქმედებას შეეხნენ. ზოგი ამბობდა: თუ დამფასებლები საჭირო და საკმაო ყურადღებით არ ასრულებენ მოვალეობას, თუ სრულ ცნობებს ვერ აგროვებენ, გამგეობა სადღაა? რატომ ის არ ასწორებს კომისიის შეცდომებს დაფასებითა ფაქტიურის გადასინჯვითა და კონტროლით? გამგეობა ამაზე უპასუხებდა, კომისია თავისუფალია, თითქმის დამოუკიდებელი ორგანოა, რომლის შეზღუდვა კონტროლითა და ბრძანებით საქმეს უფრო ავნებსო; რომ ბანკის დაარსებიდან ასეთი წესი და ასეთი ურთიერთობა არსებობს კომისიისა და გამგეობის შორის, ხოლო სხვა წესის შემოღებისათვის საჭირო შეიქმნება დამფასებელ კომისიის რეორგანიზაციაო. ზოგიც თხოულობდა, დაგვისახელეთ ის დამფასებლები, რომელთა წყალობით ბანკს ამდენი მამული დარჩენია; ჩვენ გავარჩევთ მათ მოქმედებას და ამრიგად შევიძლებთ შემდეგში ფრთხილად მოვეკიდოთ მათ არჩევას საქმესაო. ამათ უპასუხებდნენ, ვინაობის დასახელება მეტია, რადგან დამფასებლები საერთოდ აგებენ პასუხს თავის მოქმედებაში და გარდა ამისა მრავალ რიცხვოვან კრებას არ ძალ-უძს განიხილოს ამა თუ იმ დამფასებელის ბრალი ან უბრალობაო.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა აირჩიოს საგანგებო კომისია და მას დაავალოს ამ საქმის განხილვა. კომისიამ მომავალ წლიურ კრებისათვის უნდა შეიმუშავოს მოსაზრებანი, თუ როგორ მოწესრიგდეს დაფასების საქმე. რათა ბანკს თავიდან აეცდინოს ამ მხრით ზარალის ნახვა. კომისია არჩეულ იქმნება მორიგ საქმეების განხილვის შემდეგ.

რუსეთის ქრონიკა

◆ ფინლიანდიის ბეჭდვითი საქმის მთავარგამგეობამ გაფრთხილება გამოუცხადა გაზ. „ჰელსინგფორსის ფოსტა“-ს, რომელიც შვედურ ენაზე იბეჭდება. ეს ზომა შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია. ხსენებულ გაზეთში დაბეჭდილი იყო ცნობა იმის შესახებ, რომ ფინლიანდიაში სამხედრო ცენზურა არსდება და არ განუმარტავს, რომ ცენზურას იმ განზრახვით აარსებენ, რათა ბრძოლის ველიდან მოსული ყალბი ხმები არ იქმნეს გავრცელებული ხალხში. გაზეთის დუმილს ცენზურის დაარსების მიზეზთა შესახებ შეეძლო შეცდომაში შეეყვანა საზოგადოება.

გაზეთის რედაქციამ დაითხოვა თავისი თანამშრომელი, რომელიც რუსულ ენიდან სთარგმნიდა ცნობებს და ზემოხსენებული ცნობა სავსებით არ გადათარგმნა.

◆ პეტერბურგში ჩამოიყვანეს ქ. დვინსკიდან ერთი ყრუ-მუნჯი ახალგაზდა ქალი, ტომით მონგოლელი, რომელიც დვინსკის მახლობლად რკინის გზის ერთ სადგურის ახლოს დააპატიმრეს. ამ ქალის ვინაობა არ იციან, არც ის იციან, თუ ვინ მოიყვანა სადგურზე. იგი უფრო ჩინელ ქალსა ჰგავს, ვიდრე იაპონელს; დაახლოვებით 20 წლის იქმნება, წერა-კითხვა არ იცის. გეოგრაფიული რუკა რომ აჩვენეს, ქალმა რამდენჯერმე მანჯურიაზე მიუთითა დამსწრეთ და ნიშნებით აცნობა, იქიდან ვარ მოსულიო. იაპონიის ხელმწიფის მიკადოს სურათი რომ აჩვენეს, ქალმა სიხარულით ხელი სტაცა და კოცნა დაუწყო. ერთმა დამსწრეთაგანმა მუშტი მოუღერა მიკადოს სურათს, რამაც ძლიერ გააჯავრა ქალი, აღელდა და მუშტი მოუქნია მიკადოს შეურაცხმყოფელს. ამ უცნობ ქალის შესახებ ცნობებს ჰკრეფენ.

როსკებმა უკანასკნელებს ნებაც-კი არ მისცეს, რომ რაიმე ცნობა შეეკრიბათ. მაინც ხსენებულის დადგენილების მიხედვით წინარეხისა, თონეთის, პატარძეულის, სტეფანწმინდისა და სხ. სოფლის საზოგადოებებმა გადასწყვიტეს სკოლების გახსნა, თუ საზოგადოება დახმარებას აღმოუჩენდა. წინარეხის სასოფლო საზოგადოებამ ასეთი განაჩენი დაადგინა 1879 წ. 28 ოქტომბერს. სოფლის განაჩენი გამგეობამ გაუგზავნა დასამტკიცებლად ადმინისტრაციას და სახალხო სკოლების დირექციას. დირექციამ ნება არ მისცა გამგეობას სკოლის გახსნისა, მოითხოვა, რომ რუსულის ენის სწავლება დაწყებულიყო პირველი წლის მეორე ნახევრიდანვე და მთელი სასწავლო პლანი ყოფილიყო თანახმად სალქო მზრუნველის მიერ შემუშავებულის გეგმისა. გამგეობა არ დაემორჩილა დირექციის მოთხოვნილებას, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა „საზოგადოების“ წესდების მესამე §-ს. სოფლის განაჩენი დაამტკიცა ადმინისტრაციამ, ამიტომ გამგეობამ გაგზავნი წინარეხში მებელი, წიგნები, მასწავლებელი და 1882 წ. იანვრიდან ფაქტიურად გახსნა სკოლა. დირექციამ უყურადღებოდ დასტოვა გამგეობის ყოველივე განმარტება და კვლავ მოითხოვა, რომ გამგეობა ან დამორჩილებოდა საზოგადო წესებს, ან დაეკეტა სკოლა. „წინააღმდეგ შემთხვევაშიო, იწერებოდა დირექტორი: მივმართავ გუბერნატორს და მოვითხოვ მის დახმარებას სკოლის დაკეტისათვისო“. გამგეობამ არ მიიღო თავის თავზე გამართულის სკოლის დაკეტვა და იგი მხოლოდ ადმინისტრაციის განკარგულებით იქნა დაკეტილი. ამის შემდეგ სკოლა ხელ ახლად გაიხსნა 1883 წ. 9 იანვარს იმ პირობით, რომ სკოლაში აუცილებლივ ყოფილიყო სწავლება რუსულის ენისა პირველ განყოფილებაში პირველი წლის მეორე ნახევრიდას.

დაარსებიდან სკოლაში სწავლობდა 879 მოსწავლე, მათ რიცხვში ქალი იყო 582. შარშან სკოლაში სწავლობდა 34 ქალი და 26 ვაჟი. ქალებს, გარდა წერა-კითხვისა, ასწავლიან ხელსაქმესაც. 1897 წლიდან სკოლას აქვს საკუთარი შენობა, რომელიც ღირს 2400 მან. და რომლის უმთავრესი ხარჯი გასწია „საზოგადოებამ“. საზოგადოების ხარჯი სკოლაზე თან-და-თან მატულობს. წელს საზოგადოებამ უნდა გასწიოს სკოლაზე 250 მ. და სოფლის საზოგადოებამ 250 მან.

5 დიდი თონეთის სკოლა (ტფილ. მაზ.). თონეთის სკოლა გაიხსნა 1883 წლის 14 ნოემბერს. მისი დაარსების ისტორია იმგვარივეა, როგორც წინარეხისა. სკოლა დაარსდა თანახმად სოფლის 1880 წ. 7 იანვრის ყრილობის განაჩენისა. სოფელმა გადაწყვიტა სკოლის გახსნა, რომლის შესანახად უნდა გამოეღო ყოველ წლიურად 350 მან., სოფელს უნდა აეგო შესაფერი სასკოლო შენობა და ეძლია მასწავლებლისთვის წელიწადში 3 საჟენი შეშა. სკოლის მმართველი და გამძღოლი უნდა ყოფილიყო წერა-კითხვის საზოგადოება. სკოლის გახსნა დაგვიანდა იმავე მიზეზისა გამო, რომლითაც შეფერხდა წინარესის სკოლის საქმეც. გამგეობამ ჯერ ჩვეულებრივის წესით ითხოვა სკოლისთვის ნებართვა (1881 წ. ნოემბერი), მაგრამ მერე იძულებული გახდა დამორჩილებოდა დირექციას, რაიც პირდა-პირ აღნიშნა თავის მეორე თხოვნაში (1883 წ. ივნისი), რომელშიაც სწერდა: „თუმცა გამგეობა ღრმად დარწმუნებულია, რომ უფრო პედაგოგიურია და შესაფერი, რუსულის ენის სწავლება იწყებოდეს მესამე წლიდან, მაგრამ ემორჩილება დირექციის არა ერთხელ განმეორებულ მოთხოვნილებას და რუსულის სწავლებას შემოიღებს პირველი წლის მეორე ნახევრიდან“.

სკოლა რო გაიხსნა, ათიოდე ბავში ძლივს შეიკრიბა. მასწავლებელმა დიდის მოფერებით და საჩუქრებით ძლივს მოაგროვა რამდენიმე დღის შემდეგ 45 შაგირდი. ეს ნაკლი დღესაც სჭირს თონეთს (და არა მარტო თონეთს): მშობლებს ძალიან ეზარებათ შვილების სკოლაში გაგზავნა. სწავლა ფაქტიურად იწყება ოქტომბერში და თავდება ადრე, მარტის დამლევს და აპრილის პირველ რიცხვებში. სწავლის დროსაც ადვილად უშვებენ მოსწავლენი გაკვეთილებს. ეს მარტო იმის ბრალი არაა, რომ გლეხს შვილი სამუშაოზე სჭირია. ხშირად სრულიად უმნიშვნელო მიზეზი საკმარისია, რომ დედ-მამამ შვილი სკოლაში არ გაუშვას: სოფელი ნაკლებად აფასებს სკოლას და სწავლის საჭიროებას. უკვე რამდენიმე წელიწადია სოფელი არაფერს არ იხდის სკოლისათვის (3000 მანეთი ითვლება სოფელზე „საზოგადოების“ „ვალი“), დღეს ფაქტიურად სკოლას მთლად მარტო საზოგადოება ინახავს, რომელიც წიგნებსაც და სხვა სასწავლო ნივთებსაც მუქთად ურიგებს ბავშებს, მაგრამ მშობლებს მაინც ემძიმებათ შვილების სკოლაში გაგზავნა. წინად ბარე ორჯერ ისიც ითხოვეს, რომ მთლად დახურულიყო სკოლა. რასაკვირველია, ასეთს სოფელს უფრო ესაჭიროება სკოლა, რომელიც ადრე თუ გვიან შეიქნება მისთვის ძვირფასი და საყვარელი, და იმედია საზოგადოება კიდევ მეტად იზრუნებს სკოლის წარმატებისათვის. დაარსებიდან 20 წლის განმავლობაში სკოლაში სწავლობდა 1004 ბავში, მათ რიცხვში იყო 421 ქალი. სკოლას ძლიერ მცირე რიცხვი ათავებს, რადგან მშობლებს სწავლის დამთავრებამდის გამოჰყავთ შვილები სკოლიდან. სკოლას აქვს საკუთარი შენობა.

კალამი

(შემდეგი იქნება)

შეცდომის გასწორება: წინანდელ ფელეტონში პირველი სვეტის ცხრილის ბოლოში (ქუთ. სათ. აზ. სკოლის შესახებ) დაბეჭდილია 9162, უნდა იყოს 5162.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშა სააგენტოსაგან)

19 მაისი

მუკდენი. დანამდვილებით „შეიტყის", რომ კერრის ბუხტაში ნაღმიან გემ მოიაკას გარდა კიდევ კრეისერიც დაღუპულა. რაიცა შეეხება „ფუჯის", როგორც ამბობენ, იგი კუნძულ მიაოდაოს მახლობლად გარიყულა ქვებზე და იმას იცავენ იაპონელთა ნაღმიანი გემები.—იაპონელი პარლამენტიორი სრულიადაც არ მისულა მუკდენს.

ტოკიო. („ვოლფის სააგ.") გენერალი ოკუ იუწყება, იაპონიის რაზმმა 17 მაისს დაიჭირა დალნი, სადაც ასზე მეტი სახლი და ყაზარმა დაუნგრეველი დახვდა. დაუზიანებელია აგრეთვე სადეპეშო სადგური და ვოგზალი; 200 ვაგონზე მეტი გამოდგება სახმარად, მაგრამ რკინის გზის ყველა ხიდები დანგრეულია; დოკები და მოლი მთელია. დოკში შესავალი შეკრულია ჩაძირულ პატარა გემებით.

შანჰაი. („რეიტ. სააგ."). რუსებმა ჩამოახრჩვეს რამდენიმე ჩინელი, რომელნიც შეეპყრათ იმ დროს, როდესაც იაპონელთა ფლოტს ნიშნებს აძლევდნენ ვლადივასტოკის მახლობლად.

ტოკიო. დალნის მახლობლად იაპონელებმა მიაგნეს 1500—1600-მდე ნაღმს, რომელნიც რუსებს ჩაუწყვიათ. მათი ამოღება მეტად საძნელოა. როგორც გამოირკვა, ნანგუანლინის სამხრეთით მდებარე გორაკი ძლიერ გამაგრებული ყოფილა. იაპონიის ქვეითა ჯარს 9-ჯერ დასჭირდა იერიშის მიტანა, სანამ საბოლოოდ დაიჭერდა სერებს.

ბერლინი. ნამდვილ წყაროდან იუწყებიან, „ხაცუზე"-ს გარდა პორტ-არტურთან იაპონელებმა დაჰკარგეს კიდევ ერთი საესკადრო ჯავშნიანი გემიო. ეს დანაკლისი მეტად სამძიმოა იაპონელთა ფლოტისათვის, რომელსაც დარჩა ახლა მხოლოდ 4 საესკადრო ჯავშნიანი გემი, მაშინ როდესაც პორტ-არტურში ამგვარი გემი ექვსია.

სეული. იაპონელებმა მეციხოვნე ჯარი მეტად შეამცირეს. რაც ჯარი იყო, სეულიდანა და პენიანიდან გაჰგზავნეს გენზანის მეციხოვნეთა გასაძლიერებლად, რომელთაც ემუქრებიან 700 ყაზახი და მათი მიმყოლი რუსის ქვეითა ჯარი. ყაზახები დაბინავდნენ ქალაქ ხამხინსა და მის მიდამოებში და უკუაქციეს კორეის ჯარები.

ლონდონი. („რეიტ. სააგ."). 17 მაისი. პირველ არმიის მოძრაობისა სრულიად არავითარი ნიშანი არაა. ჩინელები იუწყებიან, როგორც სჩანს, რუსის დიდი ჯარი ლიაოიანიდან სამხრეთით მიემართებაო.—„ტაიმსის" კორესპონდენტი 18 მაისს დეპეშით იუწყება, იაპონიის ჯარი გაიპინში გადმოსხდა, მაგრამ მაშინვე ეს ჯარი ტრანსპორტებით უკანვე დაბრუნდაო. ეს რაზმი, რომლის დანიშნულება იყო ოკუს არმია დაეფარა ჩრდილოეთით მიმავალ რუსებისაგან, ახლა მეორე არმიასთან შესაერთებლად გაემართა.

19 მაისი

ტაშკენტი. გარდაიცვალა გენერალ-გუბერნატორი.

პარიჟი. დააპატიმრეს სამხედრო სამინისტროს ცნობათა შემკრებ ბიუროს აფიცერი დოტრიში. იტყობინებიან, რომ აფიცრის დაპატიმრებას კავშირი აქვს ამას წინად აღმოჩენილ ბოროტებასთან, სახელდობრ—სამინისტროში 25 ათას ფრანკის გაფლანგვის საქმესთან. დოტრიშმა განაცხადა, რომ ამ საქმის გამო არავითარ ცნობების მიცემა არ შეუძლიან. ჰფიქრობენ, ეს ფული ქრთამად მიეცა დრეიფუსის საქმეში მოწმედ მყოფს ჩერნუსკის.

ადესა დააპატიმრეს ფოსტაში მიმტანი იმ პაკეტის, რომელიც აფეთქდა. გამოძიება სწარმოებს.

კურსკი. გუბერნატორის თავმჯდომარეობით დაიწყო საგუბერნიო კომიტეტის სხდომები გლეხთა კანონმდებლობის ახალ პროექტის განსახილველად.

19 მაისი.

სტამბოლი შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა სომეხთა პატრიარქს, მუშს გაგზავნე ფული იმ 3000 სომეხ დედა-კაცთა, ბავშთა და მოხუცთა დასახმარებლად, რომელთაც მუშს შეაფარეს თავიო. შეამბოხეთა ბელადი ანდრანიკი დაჭრილია, მაგრამ დატყვევებული კი არაა.—პორტას ცირკულიარული ნოტა, რომელიც საზღვარ-გარედ მყოფ ელჩებს გაეგზავნა, ადნიშნავს, მუშში თავშეფარებულნი წერილობით აცხადებენ, თავი მოვარიდეთ სომეხთა რევოლიუციონერებს, რომელნიც აჯანყებას გვაიძულებდნენო.

ლონდონი. რუსეთმა და ინგლისმა ხელშეკრულობა დასდვეს იმ ხანგრძლივ უთანხმოებათა შესახებ, რომელნიც დაიწყო ბერინგის ზღვაში „კოტიკებზე" მონადირე კანადის გემთა წართმევის გამო. თავიდანვე განზრახვა ჰქონდათ სამედიატორო სასამართლოსათვის მიემართნათ, მაგრამ მოლაპარაკება ისეთის **მეგობრულ** და მშვიდობიანის კილოთი დაიწყო, რომ საქმე გადაწყდა გარეშეთა დაუხმარებლად. დელეგატები შეთანხმდნენ 4-ს წართმეულსა და 2-ს დაჭერილ გემის შესახებ. ის ფაქტი, რომ შეთანხმება მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ შორეულ-აღმოსავლეთის ომი დიდ მზრუნველობას ითხოვს, მოასწავებს კეთილ განწყობილებას მომავალში ამ ორ დიდ სახელმწიფოთა შორის.

ბუდაპეშტი. ავსტრიის დელეგაციებმა მიიღეს მოთხოვნილება საგანგებო კრედიტის შესახებ, 88 მილიონ კრონის, ომის ხარჯებისთვის.

ვაშინგტონი. („რეიტ. სააგ.") სახელმწიფო მდივანმა მიმართა საფრანგეთის მთავრობას შუამდგომლობით,—გაგვიწიეთ კეთილი სამსახური და გაანთავისუფლებინეთ ამერიკელი პერიკარისი, რომელიც მაროკელმა ყაჩაღმა რაისულამ შეიპყრაო. საფრანგეთი დასთანხმდა.

სალონიკი. მონასტირის მცხოვრებლებზე მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ ამას წინად სამოქალაქო აგენტებმა, ავსტრო-ჰუნგრეთის და რუსის აფიცრებმა და ხილმი-ფაშამ დაიარეს ეს მხარე. სამოქალაქო აგენტებმა თითქმის დაასრულეს ჟანდარმერიის რეორგანიზაციის საქმე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

კერძო განმარტება

ბოროტ-განმზრახველმა პირებმა ჭორის მეოხებით ქალ. ბათუმის პატივცემულ საზოგადოების შორის ხმა გაავრცელეს, ვითომ მე ერთნაირის თვალით არ ვუყურებ ამა თუ იმ ეროვნების მუშებს და არ ვიღებ ჩემ თამბაქოს ქარხანაში ქართველებსა და სომხებს, აგრეთვე ვითომ ამ ბოლო დროს დავითხოვე კიდეც ყველა ქართველი და სომეხი მუშები. ამას გარდა, დასახელებული პირნი ურჩევენ პატივცემულ საზოგადოებას და ბ-ნ ვაჭრებს, პირველს—არ იხმარონ ჩემის ქარხნის ნაწარმოები, მეორეთ—არ მიიღონ იგი გასასყიდად.

თუმცა ამ გვარ ბრალდებისაგან არც-კი მინდა თავი ვიმართლო, მაგრამ მაინც, სიმართლის აღსადგენად, ვაცხადებ, რომ ჩემის ქარხნის დაარსების დღიდან, ე. ი. 25 წლის განმავლობაში, არასოდეს არავითარი განსხვავება არ მომიხდენია სხვა-და-სხვა ეროვნების მუშებს შორის, რადგან კარგად ვიცი, რომ ამ გვარი საქციელი არ შეეფერება განათლებულ ხალხს, რომელიც ნებას არ მისცემს თავს ფანატიზმის გავლენით იმოქმედოს პირიქით, ჩემი ქარხანა ყოველთვის ღია იყო ყველა მუშისთვის, რა ერსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, რაც შეუძლიანთ შეამოწმონ ეხლანდელმა მუშებმა და მოსამსახურეებმა. ამას გარდა ვაცხადებ, რომ დღეს ჩემის ქარხნის მუშებად, 70 კაცი და ქალი, არიან: რუსები, ქართველები, სომხები, ბერძნები, პოლონელები, ებრაელები, ოსმალები, სპარსელები და აფხაზები ეს არის სიმართლე დღევანდელ საქმის ვითარებისა, ამიტომ იძულებული ვარ უარვყო ცრუ ხმები ბოროტ-განმზრახველთა, რომელნიც, ვინ იცის, იქნება პირად ინტერესების გამო მოქმედებენ და ამით ჰფიქრობენ ხელი შეუშალონ ჩემ ქარხნის წარმატებას, იმ ქარხნისა, რომელმაც პატივცემულ საზოგადოების შორის კეთილი სახელი მოიპოვა.

პატივისცემით ლ. ბინიათ-ოღლის მონდობილებით **ი. ბინიათ-ოღლი.**

(1—1)

ექიმს ალაგს

წინამძღვარიანთ-კარის სკოლაში, კურს დამთავრებული მებაღის, მევენახის და ღვინის დამყენებლისას, მე-9 ნაწ. კრასნოგორსკის ქუჩა, სახლი პორფიროვისა, № 5. (4—198—4)



Сѣдельн
Спеціальн
Т.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—20)

ხვედურეთის სამკურნალო წყლებ
სახელწოდებით
აბანო.

ავადმყოფთა მიღება დაიწყება 20 მაისიდან. ახლად გადაკეთებულია აბანოსთან დაწესებული ნომრები მოაგარაკეთათვის. მიღებულია ღონისძიებანი, რომ მოაგარაკეებმა რამდენად შესაძლებელია იაფად იყიდონ ადგილობრივ სანოვაგე და სხვა მოწყობილობაც იქონიონ. დღეში რამდენჯერმე ივლის ლინეიკა სადგურ ქარელიდან ხვედურეთის აბანომდე. მანძილი 4 ვერსს არ აღემატება. (3—194—3)

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან ვნიშნავ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—14) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი

ГЕНЕРАЛЬНОЕ ОБЩЕСТВО
(Генеральное общество)
სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა
აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთა საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11) საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმას მიხედვით, თუ რამდენი ქონება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავალდო პრემიის დასასხდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოჰოევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—12)



ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მაწრაფლ-მაღალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.-П.
С.ПЕТЕРБУРГЪ
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ"-ის საწყობში.
ტელეფონი № 346 ერევნის მოედანი. (60—6.—29)

Доз. цензурою. 19 Мая 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა. Электропеч. Груз. Изд. То—тва.